

შეთანხმება

საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურს

და

საქართველოს სადაზღვევო კომპანიათა ასოციაციას

შორის

ურთიერთთანამშრომლობის ეფექტიანობის ამაღლების შესახებ

თბილისი

2015 წლის 20 თებერვალი

პრეამბულა

„საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური“ და „საქართველოს სადაზღვევო კომპანიათა ასოციაცია“ (შემდგომში „მხარეები“),

მოქმედებენ რა საქართველოს კანონმდებლობით მხარეებისათვის განსაზღვრული ფუნქციებს, ამოცანებისა და უფლებამოსილებების შესაბამისად;

ითვალისწინებენ რა საქართველოში დაზღვევის სექტორის სტაბილურობის უზრუნველყოფის მიზნით ეფექტური თანამშრომლობის მნიშვნელობას;

მხედველობაში იღებენ რა დაზღვევის სექტორის მნიშვნელობას საქართველოს ეკონომიკაში;

ხელმძღვანელობენ რა საქართველოს დაზღვევის სექტორში სისტემური რისკების თავიდან აცილების და ურთიერთთანამშრომლობის გაღრმავების მიზნებით;

თანხმდებიან შემდეგზე:

მუხლი 1

წინამდებარე შეთანხმების მიზანია საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურსა და საქართველოს სადაზღვევო კომპანიათა ასოციაციას შორის დაზღვევის განვითარების მიზნით თანამშრომლობის გაღრმავება შემდეგი მიმართულებებით:

- 1.1. საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის საქმიანობის ყოველწლიური ანგარიშის საფუძველზე შემუშავებული სადაზღვევო სისტემისა და სადაზღვევო ურთიერთობების განვითარების სამოქმედო გეგმის იმპლემენტაცია/შემდგომი სრულყოფა;
- 1.2. დაზღვევის ნორმატიული ბაზის დახვეწა ასოციაციის ხელშეკრულების მოთხოვნების, საერთაშორისო სტანდარტებისა და ქვეყნის რეალობის გათვალისწინებით;
- 1.3. საერთაშორისო სტანდარტებისა და საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინებით სავალდებულო დაზღვევის შესახებ კანონპროექტების მომზადება;
- 1.4. სადაზღვევო ურთიერთობებში მომხმარებლის ინფორმირებულობისა და დაცულობის გაზრდა;
- 1.5. სადაზღვევო ურთიერთობებში მომხმარებლის დაცულობისა და კომფორტულობის ასამაღლებლად, დაზღვევის ყველა სახეობაში დაზღვეულებსა და სადაზღვევო კომპანიებს შორის წარმოშობილი დავების (უთანხმოების) არა სასამართლო გზით სწრაფი და ეფექტური მორიგების მიზნით, სადაზღვევო მედიაციის პროცესის ამოქმედება;
- 1.6. სადაზღვევო საქმიანობაში მაღალი პროფესიული სტანდარტების შემუშავების, დანერგვის და პროფესიული სერტიფიცირების სისტემის ხელშეწყობა ISO 9001 საფუძველზე;
- 1.7. დაზღვევის სფეროში წარმოქმნილი ისეთი პრობლემური შემთხვევების, პოტენციური რისკების, გამოწვევებისა და განვითარების სცენარების განხილვა, რომელთაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა მოახდინონ მთელ სფეროზე.

მუხლი 2

წინამდებარე შეთანხმების ფარგლებში მხარეები თანამშრომლობენ პროექტების განხორციელების, ინფორმაციის რეგულარული გაცვლისა და ანალიზის მეშვეობით.

მუხლი 3



წინამდებარე შეთანხმება არ ცვლის და არ აუქმებს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებს. ამ შეთანხმებასა და საქართველოს კანონმდებლობას შორის წინააღმდეგობის შემთხვევაში, მხარეები ვალდებული არიან იმოქმედონ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 4

წინამდებარე შეთანხმება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან.

მუხლი 5

- 5.1. წინამდებარე შეთანხმება წარმოადგენს მხარეთა შორის არსებული შეთანხმების დადასტურებას.
- 5.2. შეთანხმებაში ნებისმიერი ცვლილება ან დამატება უნდა განხორციელდეს წერილობით და ხელი მოეწეროს მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ.
- 5.3. შეთანხმების ცალკეული მუხლის ან ნაწილის ბათილად, ძალადაკარგულად ან უკანონოდ ცნობა არ გამოიწვევს მთლიანად შეთანხმების ბათილობას, ძალადაკარგულად ან უკანონოდ ცნობას.
- 5.4. წინამდებარე შეთანხმება იდება 2017 წლის 31 დეკემბრამდე და მისი მოქმედების ვადამდე შეწყვეტა ხდება მხარეთა ურთიერთშეთანხმებით.
- 5.5. წინამდებარე შეთანხმება იდება ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითო ეგზემპლარი რჩება მხარეებთან.

საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური	საქართველოს სადაზღვევო კომპანიათა ასოციაცია
	
იოსებ გოგოლაშვილი საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის უფროსი	დები ხეჩინაშვილი საქართველოს სადაზღვევო კომპანიათა ასოციაციის გამგეობის თავმჯდომარე